ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 4 მარტი, 2022 №45 (8823) ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილი: „3 მარტი ისტორიული დღეა საქართველოსთვის — ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს“

„ეს აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული“



„ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის განხილვას 9-დან 15 თვემდე სჭირდება“

კახა გოგოლაშვილი: „თუ არაფერი შევცვალეთ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ“

„შეიძლება, სკეპტიკური პოზიციიდან ვლაპარაკობ, მაგრამ ეიფორიაში ყოფნას მირჩევნია, ამ პოზიციიდან ვილაპარაკო“

„საქართველოს რუსეთი ვერ გადაუვლის. რუსეთი უკრაინაში მარცხდება. ჩვენ ლაჩრულად არ დავუნვებით!“

პაატა ზაქარეიშვილი: „უკრაინა თავისი გამარჯვებით იმარჯვებს რუსეთშიც და ბელარუსშიც და, რაც მთავარია, იმარჯვებს საქართველოშიც. მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც არის!“

„ევროკავშირის წევრობაზე მთელი ქვეყნის სურვილი უნდა დაფიქსირდეს“

სოსო ცინცაძე: „ყველაზე დიდი პრობლემა იმედგაცრუება იქნება, რადგან ევროკავშირის წევრობა ასე მარტივად მისაღწევი არ არის“

გვარამია: „ბადრაგმა აგინა და ცემა სააკაშვილის ადვოკატი თუთბერიძე“

საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო

„ვერ წარმოვიდგენდი, რომ რუსები უკრაინის დედაქალაქ კიევს შეეხებოდნენ“

ვახტანგ მაისაია: „პუტინი იმედოვნებდა, რომ უკრაინაში შეიჭრებოდა და უკრაინელი ხალხი ყვავილებით შეეგებებოდა“

ISSN 1987-9385

3 რა მდგომარეობაა მოლდოვაში?
ბორელი მოლდოვასა და საქართველოს ეწვევა

5 გოგა ხაინდრავა: „სოხუმში გამავალი მთელი გვირაბი რუსული სამხედრო ტექნიკითაა გავსებული“

6 ჰააგის სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

6 აშშ: „მოვუნოდებთ პუტინსა და მის მთავრობას, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ეს სისხლისღვრა!“

ირაკლი ღარიბაშვილი: „3 მარტი ისტორიული დღეა საქართველოსთვის — ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს“

„ეს აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული“

დღეს ისტორიული დღეა საქართველოსთვის – ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის ხელმოწერის შემდეგ განაცხადა.

ამის შემდეგ პრემიერმა ღარიბაშვილმა თქვა:

– ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე – ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული.

საქართველო არის ევროპული სახელმწიფო; ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის მიეკუთვნებოდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეს და დღესაც თავისი ღირებული წვლილი შეაქვს მის დაცვასა და განვითარებაში. „ევროპელობა“ სხვა არაფერია, თუ არა იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომლებიც ქმნის ევროპას. თვით საქართველოს ისტორია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, არის დასტური იმისა, რომ ეს ფასეულობები ქართველი ადამიანის ბუნებაშია და, მაშასადამე, განუყოფელია.

ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად განაგრძობს წინსვლას ამ მიმართულებით და დღევანდელი დღე ჩვენი ძალისხმევის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

დღეს საქართველო, ისე, როგორც არასდროს, ახლოს არის ევროკავშირთან.

2014 წელს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ხელი მოვაწერე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რათა წარმატებით დაგვეწყო სვლა ევროინტეგრაციის გზაზე და ჩაგვეყარა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„საქართველოს რუსეთი ვერ გაიგებს. რუსეთი უკრაინაში მარცხდება. ჩვენ ლაჩრულად არ დავუწვეებით!“

პაატა ზაქარეიშვილი: „უკრაინა თავისი გამარჯვებით იმარჯვებს რუსეთშიც და ბელარუსშიც და, რაც მთავარია, იმარჯვებს საქართველოშიც. მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც არის!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი-კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების წნეხსა და მღელვარებას ვერ გაუძლო და ევროკავშირში განაცხადი დაჩქარებული წესით შეაქვს. რა მოლოდინები გაქვთ და ზოგადად როგორ აფასებთ ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს?

– ხელისუფლება ბოლო პერიოდში იყო უაღრესად სამარცხვინო. მათ დაიჯერეს, რომ რუსეთი გაიმარჯვებდა. მდინარაძემ სამარცხვინო განცხადება გააკეთა, როცა თქვა, რა აზრი აქვს, მონაწილეობა მივიღოთ ისეთ პროცესში, რომელიც წინასწარ განსაზღვრულია, მაინც რუსეთი მოიგებსო. ყველა განცხადება იყო ერთმანეთზე უფრო სამარცხვინო და, სათქმელი რომ არ აქვთ, მუდმივად ლაპარაკობენ ნაციონალურ მოძრაობაზე. ამ ფონზე ხალხის გამოსვლა ქუჩაში, ასეთი ფართომასშტაბიანი აქციები, პრაქტიკულად ასეთი მხარდაჭერა, საქართველოსგან რომ ჰქონდა, არც ერთი სხვა ქვეყნისგან არ ჰქონია უკრაინას.

– ხელისუფლებამ კი საკუთარი განცხადებებით გააფუჭა ეს მხარდაჭერა.

– გააფუჭა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იძულებული გახდა, განაცხადი შეეტანა ევროკავშირში. იმავე გაეროში რეზოლუციას ხმა მისცა, ჰააგის სასამართლოს შეუერთდა. იქნებ ახლა მაინც გაიგოს ღარიბაშვილმა, რა არის ეროვნული ინტერესები და არა ის, რაც მის თავშია.

– ქვეყნის დაცვა და ქვეყნის ინტერესი გვამოძრავებდაო. მათი მხარდამჭერებისგანაც ასეთი გზავნილები მოდის. იყო ეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებული განცხადებები თუ ეს იყო ბატონის მორჩილება?

– რა თქმა უნდა, ბატონის მორჩილება იყო. ეროვნული ინტერესები იყო სიმართლის მხარეს. მთელი მსოფლიო არის რუსეთის წინააღმდეგ. მხოლოდ 4-5 სახელმწიფო იყო, რომლებმაც ხმა მისცეს რუსეთის რეზოლუციას გაეროში. მთელი მსოფლიო იყო უკრაინის მხარეს. ეს არის იგივე, რაც ჰიტლერის დროს იყო. ან უნდა ყოფილიყავი ჰიტლერის მხარეს, ან – კოალიციის, ანუ სინათლის მხარეს. ჩვენ პირველად ჩვენი ნებით აღმოვჩნდით სიბნელის მხარეს, დღევანდელი ჰიტლერის, ანუ პუტინის რუსეთის მხარეს. ეს იყო სამარცხვინოზე სამარცხვინო ამბავი. ამას ყველაზე ბოლოს და ყველაზე გვიან მიხვდა საქართველოს ხელისუფლება. ბოლომდე მაინც ვერ მიხვდნენ, მაგრამ, იმას მიხვდნენ, რომ საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვიეს. ისინი მაინც დარწმუნებული არიან, რომ სწორად იქცეოდნენ, მაგრამ შეეშინდათ იმის, რომ ხალხს არ გადმოეყირავებინა მათი ხელისუფლება.

– ხალხმრავალმა აქციებმა შეაშინა? შეეშინდა ღარიბაშვილს, მართლა არ გამიშვანო და უკან დაიხია?

– კი, როგორც ჩანს, ასეა. ცალსახად უკან დაიხია ღარიბაშვილმა. ეს იყო ხალხის გამარჯვება. დიდი მადლობა ჩვენს ახალგაზრდებს, რომ იყვნენ ასეთი პრინციპულები. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ უკრაინა დღეს ჩვენთვისაც იბრძვის. უკრაინა თავისი გამარჯვებით იმარჯვებს რუსეთშიც, ბელარუსშიც და, რაც მთავარია, იმარჯვებს საქართველოშიც. მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც არის.

– საქართველოს პრეზიდენტის გზავნილები განსხვავებული იყო და ის არ ჰგავდა დანარჩენი „ოცნების“ ლიდერების განცხადებებს.

– კი, ასეა და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. თავის განცხადებებში ზურაბიშვილი ყოველთვის უკან იხევდა. ახლა რა განცხადებებიც გააკეთა, საკმაოდ კარგია. აშკარად ჩანს, რომ არსებობს შიდა დაპირისპირება და განსხვავებული ხედვები, თუ საით უნდა წავიდეს საქართველო. სალომე მაინც ევროპელია და მან თავისი კარიერა ჯერ კიდევ ივანიშვილამდე გააკეთა. ამიტომ სალომე ზურაბიშვილი არ არის დამოკიდებული ივანიშვილზე, განსხვავებით, მდინარაძე-კობახიძისა და ღარიბაშვილისაგან.

– ღარიბაშვილმა ამ განცხადებებით ივანიშვილის დავალება შეასრულა?

– ცალსახად ასე იყო, ივანიშვილის დავალებები შეასრულა. ივანიშვილმა რომ უთხრას ახლა, ევროპაზე ილაპარაკეო, გამოვა და ევროპაზე ილაპარაკებს. მე ასე მგონია, რომ ივანიშვილს ვალდებულებები და რაღაც ანგარიშები აქვს რუსეთის წინაშე, რაღაცით დააბინა რუსეთმა. აშკარად ჩანს, რომ ის ანგარიშს უწევს რუსეთის პოლიტიკას. ასევე ივანიშვილი დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთი იოლად მოერეოდა უკრაინას, ისე, როგორც საქართველოს მოერია 2008 წელს. ივანიშვილს, შესაძლოა, გულწრფელადაც სჯეროდა, რომ რუსეთი მობრუნდება და საქართველოს გადაუვლის. შემდეგ ეს ინფორმაციები იჟონებოდა „ქართულ ოცნებაში“. უკრაინამ კი დაამტკიცა, რომ ვერ გადაუვლის საქართველოს რუსეთი, რადგან რუსეთი უკრაინაში მარცხდება და მას ჩვენთვის არ ეცლება. არათუ ჩვენთვის, აფხაზებისა და ოსებისთვის არ ეცლება. აი, ეს ვერ განსაზღვრეს და ვერ განჭვრიტეს ჩვენმა ბედოვლათმა ვითომ პოლიტიკოსებმა, რომლებსაც პოლიტიკური აზროვნებისა და ანალიზის არანაირი უნარი არ გააჩნიათ.

– მოსახლეობაშიც დანერგეს ეს შიში, რამე რომ ვთქვათ, ჩვენც მოგვიბრუნდება რუსეთიო. არ არის, ხომ, ახლა ეს მოცემულობა?

– რა თქმა უნდა, არ არის. ნახეთ, მთელი მსოფლიო როგორი წინააღმდეგია რუსეთის. ჩვენ როგორ მოგვიბრუნდება, როცა ამხელა რისხვა დაატყდა თავს მთელი მსოფლიოსგან. ელემენტა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ევროკავშირის წევრობაზე მთელი ქვეყნის სურვილი უნდა დაფიქსირდეს“

სოსო ცინცაძე: „ყველაზე დიდი პრობლემა იმედგაცრუება იქნება, რადგან ევროკავშირის წევრობა ასე მარტივად მისაღწევი არ არის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, არასამთავრობო სექტორი, ოპოზიციური პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს სათავეში სალომე ზურაბიშვილი პირადად უნდა ჩაუდგეს. როგორია ეს პროცესი, რა პროცედურებია და როგორია საქართველოს შანსი?

– პირველ რიგში, ქვეყანა აკეთებს განაცხადს, შემდეგ უკვე კანდიდატის სტატუსია და ბოლოს არის წევრობის მინიჭება. თუმცა, რასაკვირველია, ეს არ არის მარტივი გზა.

რაც შეეხება საქართველოს მიერ განაცხადის გაკეთებას, რაც უფრო მეტს ვიაქტიურებთ ყველა დონეზე, საქმეს ეს მხოლოდ წაადგება. აქ მხოლოდ ხელისუფლების აქტიურობა არ არის საკმარისი, მნიშვნელოვანია საზოგადოების სურვილის დაფიქსირება, ოპოზიციის მისწრაფება და ერთობლივი, სინქრონული მოქმედება, რომ ქვეყნის სურვილი დაფიქსირდეს ევროკავშირის წევრობის თაობაზე.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, დიახ, ის ევროპელია. ევროპაში, პარიზში დაბადებულ-გაზრდილი. მოდით, ასე ვთქვათ, მათიანია, მათთვის შინაურია, რომელსაც ყველაზე კარგად ესმის მათი ენა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არ არის პატარა საქმე. ამიტომ, მგონია, რომ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არის.

– სად ხედავთ პრობლემას?

– ყველაზე დიდი პრობლემა იმედგაცრუება იქნება, რადგან ევროკავშირის წევრობა არ არის ასეთი მარტივად მისაღწევი. ამიტომ, თუ დიდხანს მოგვიწევს ევროკავშირის კართან დგომა, ამას კოზირის კარტად გამოიყენებს საქართველოში არაერთი პრორუსული პარტია, ძალა. პოლიტიკაში იმედგაცრუება ძალიან საშიშია. მერე ძალიან ძნელი იქნება ხალხისთვის ახსნა, რომ ეტაპების გავლაა საჭირო და ეს ასე უცებ არ ხდება. ამას მერე გამოიყენებენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ის ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, საქართველო როგორმე რუსულ ორბიტაზე დააბრუნონ. ხომ იცით, რომ სიხარულით აიტაცებენ და გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას, იტყვიან, დასავლეთს ფეხებზე ვკიდივართ, საერთოდ არ ვანაღვლებთო. ასეთი განწყობები იწვევს ადამიანებში ნიჰილიზმს, რაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. მე ამის მეშინია.



რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, უკრაინის დაჩქარებული წესით წევრობის სტატუსს უკვე მოჰყვა ჰოლანდიის პრემიერის განცხადება, ძალიან ბევრს ხომ არ გვთხოვენო! – ამიტომ ვამბობ. არადა, უკრაინასთან დაკავშირებით ხომ ყველაფერი გასაგებია. რუსეთი, პუტინი საუკუნის დანაშაულს ჩადის უკრაინელი ხალხის წინაშე, აკრძალული იარაღით ბომბავს სკოლებსა და სამშობიაროებს. ქალაქები მიწასთან არის გასწორებული. ტრიბუნალის დანაშაულთან აქვს საქმე სამყაროს და ამ დროს თითქოს ყველაფერი გასაგები უნდა იყოს. რა თქმა უნდა, უკრაინას ჯერ რეფორმები აქვს გასატარებელი, კორუფციაა, ბევრი ბარიერი აქვს, მაგრამ შექმნილი რეალობიდან გამომდინარე მიიღეს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ეს გადაწყვეტილება. უკრაინისთვის წევრობის სტატუსის მინიჭება სტიმული იქნება მეომრებისთვის, თავად ხელისუფლებისთვის, რომელიც არ აპირებს დანებებას არაფრის ფასად.

რაც შეგვეხება უშუალოდ ჩვენ, ღმერთმა ქნას, რომ ამ ინერციას ჩვენც მიგვაყოლონ. ჩვენც გამოვიარეთ ომი და უბედურება. ჩვენც დაგვბომბა რუსეთმა კასეტური ბომბებით, მაგრამ ის, რაც უკრაინაში ხდება, წარმოუდგენელია.

– პროცედურებსა და მოთხოვნებს რომ დავუბრუნდეთ, სასამართლო რეფორმა, კიდევ სხვა მიმართულება კვლავ დადგება დღის წესრიგში?

– რასაკვირველია. 40-მდე პირობაა, რომლებიც უნდა შევასრულოთ. რა თქმა უნდა, რეფორმების გატარება ყველა მიმართულებით ამოსავალი წერტილია. ჩვენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს არ უნდა გავუმარტივოთ საქმე.

– ისე უნდა შევასრულოთ საშინაო დავალება?

– რა თქმა უნდა! საერთოდ გამონაკლისები, განსაკუთრებული წესები ანუ ასეთი დაჩქარებები არ უყვარს ევროპას. ევროპელისთვის კანონი და წესი ყველაფერია. ისინი არ გვგვანან ჩვენ, სადაც ერთ ლარად შეიძლება, მილიონიანი ქონება გააჩუქო. ეს მათთვის წარმოუდგენელია. გასაგებია, უკრაინა განსაკუთრებული შემთხვევაა.

– თურქეთის მაგალითი, რომელსაც ლამის 30 წელია, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი აქვს, შეიძლება, არგუმენტი იყოს? საერთოდ რა იყო მიზეზი მისი დაყოვნების, რელიგიური ფაქტორი?

– რელიგიური ფაქტორი იმდენად არა, რამდენადაც დემოკრატია. თურქეთი ჩვენთვის ვერ იქნება ვერანაირი არგუმენტი. 1987 წლიდან თურქეთი წევრობის კანდიდატია. რამდენი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რამდენი არადემოკრატიული ნაბიჯი გადადგა თურქეთმა და მისმა მთავრობამ და ამიტომ ითქვა, რომ თურქეთის ადგილი არ არის ევროპაში. რა თქმა უნდა, რელიგიაც არის ფაქტორი. რაც შეეხება ნატოში მიღებას, აქ სრულიად სხვა ფაქტორები იყო გადამწყვეტი და არა ის, რომ თურქეთი დემოკრატიის შუქურა იყო. ისე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნატოში ზოგი მაპით მიიღეს, ზოგიც – მაპის გარეშე.

სიმართლე გითხრათ, მე დღევანდელი ნიჰილიზმის უფრო მეშინია, ვიდრე იმის, რომ ოდესღაც გავხდებით წევრი. ჩვეულებრივი მოქალაქისთვის რთულად ასახსნელია, თუნდაც კანდიდატობას რა სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენნაირი ქვეყნისთვის. ამიტომ განაცხადის გაკეთება ძალიან სწორი ნაბიჯია. ეს უნდა გაკეთებულიყო. შანსი არის და უნდა ვცადოთ.

– ფიქრობთ, თუ ხელისუფლება განაცხადს არ გააკეთებდა, შიგნითაც და გარეთაც პოლიტიკურად ძალიან გაუჭირდებოდა?

– რა თქმა უნდა! უბრალოდ, მას არგუმენტი არ ექნებოდა და ეს ძალიან დიდ პოლიტიკურ პროცესებს გამოიწვევდა ყველა მიმართულებით, რასაც აარიდა კიდეც თავი. როგორც ჩანს, დღეს „ქართულ ოცნებას“ კატები ფხაჭნიან გულზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის განხილვას 9-დან 15 თვემდე სჭირდება“

კახა გოგოლაშვილი: „თუ არაფერი შევცვალეთ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი გააკეთა. საქართველოში საზოგადოების ნაწილი უკვე წევრობას ელოდება, თუმცა, პროცესის დაწყებიდან გადაწყვეტილებამდე, რომ ევროკავშირის წევრის სტატუსი მიიღო, ძალიან დიდი და რთული გზაა გასავლელი. პირველი ეტაპი კი კანდიდატის სტატუსის მინიჭებაა, რაც ასევე არ არის მარტივი გზა. როგორც სააგენტო „როიტერი“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს, ევროკავშირში მზად არიან, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსზე იმსჯელონ.

რამდენად გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი? არის თუ არა შანსი, საქართველოს საკითხიც, უკრაინის მსგავსად, დაჩქარებულად განიხილონ და რა პროცედურებია გასავლელი? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რონდელის ფონდის უფროსი მკვლევარი, „ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი **კახა გოგოლაშვილი** საუბრობს.

– საქართველომ გააკეთა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე და, რასაც ამდენი ხანი ველოდით, დადგა ის დრო, მაგრამ რეალურად რა იცვლება? ზოგმა ისიც კი ჩათვალა, რომ წევრობას ველოდებით, მაშინ როცა დიდი გზაა გასავლელი. განუმარტეთ საზოგადოებას, რა იცვლება?

– მოკლედ თქვენ უკვე თქვით, რომ დიდი გზაა გასავლელი. ეს ეიფორია, რომელიც ახლა გაჩნდა, არარეალისტურია. შესაძლოა, მოსახლეობას სჭირდება ეს, როგორც ახალი იმედი, მაგრამ, რეალურად რაც იყო, ისევ ის შანსებია. განაცხადს ახლა შეიტან თუ 2 წლის შემდეგ, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, როგორია შენი შანსები ევროკავშირის ქვეყნებთან. ის პრობლემები, რომლებიც დავთესეთ განსაკუთრებით ბოლო 2 წელიწადში, არსად არ წასულა.

– დემოკრატიულ ჩავარდნებს გულისხმობთ?

– ევროკავშირთან წარმოქმნილ პრობლემებზე ვსაუბრობ, მათ შორის შარლ მიშელის შეთანხმების გაწყვეტაზე. იქ იყო საკითხები, რომლებიც საჭიროებდა რეფორმებს, მაგრამ მასზე ითქვა უარი მმართველი პარტიის მხრიდან. ევროკავშირთან აქამდე არ არის ხელმოწერილი ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც 2020 წლიდან 2027 წლამდე უნდა განხორციელდეს და დოკუმენტი აქამდე არ არის ხელმოწერილი.

– ეს ყველაფერი ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს?

– აბა რა! განაცხადის შეტანა კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ იქ იყოს განწყობა შენ მისაღებად, თორემ განაცხადის შეტანა ყოველთვის შეიძლება. დღეს ისეა მედიაში წარმოჩენილი, თითქოს რაღაცა დიდი მოხდა, მაგრამ, წესით, განაცხადის შეტანა არ წარმოადგენდა პრობლემას. მოსახლეობა სრულად უჭერს მხარს და ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა შეტანა, მაგრამ ევროკავშირის მხრიდან არანაირი სიგნალი არ ყოფილა იმაზე, რომ მზად არიან, კანდიდატის სტატუსი მოგანიჭონ. პირიქით, ბოლო ერთ წელიწადში მოხდა გარკვეული გაფრთხილება და ჩვენ მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებაც გაიზარდა. მთავარი ეს არის და ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა იმას, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ განაცხადის შეტანა. ეს მარტივი საქმეა და ეს მარტივი საქმე გაკეთდა. მე ამას იმ შემთხვევაში მივესალმები, თუ მას მოჰყვება ევროკავშირის მხრიდან იმ პრეტენზიების შესრულება, რომლებიც ჰქონდა და ასევე დაპირება, მოგცემთ დადებით პასუხს, ოღონდ უნდა გამოასწოროთ ხარვეზებიო, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით.

მაგალითად, მთავრობა გადაწყვეტს, რომ დაუბრუნდეს შარლ მიშელის შეთანხმებას? თუ არ დაუბრუნდება, არანაირი განაცხადი არ უშველის და არანაირი დაჩქარება არ მოხდება. თუ დაუბრუნდება და გაატარებს მართლმსაჯულების რეფორმას – თუ თავიდან აირჩევს მოსამართლეებს; გენერალურ პროკურორსაც კვალიფიციური უმრავლესობით აირჩევს; თუ შექმნის გარანტიებს, რომ არ გამეორდება 5 ივლისი; ადამიანების გამოხატვის თავისუფლება იქნება დაცული ქვეყანაში; და მოხდება ინსტიტუციების დეპოლიტიზება. თუ ეს მოხდება, მაშინ, რა თქმა უნდა, მოგვანიჭებენ კანდიდატის სტატუსს და დაიწყებენ მოლაპარაკებებს. მაგრამ ამ აქტივობების გარეშე განაცხადის შეტანას არანაირი აზრი არ აქვს.

ეს დაახლოებით, იცით, რას ჰგავს? თანახმა რომ არ არის საპატარძლო გათხოვებაზე, ჩვენ კი მაინც მივიდეთ, ბეჭედი მივიტანოთ ოჯახში და დანიშვნა მოვინდომოთ. მშობლებთან ადამიანი ხომ მაშინ მიდის და ბეჭედი მიაქვს, როდესაც იცის, რომ პატარძალი თანახმაა გათხოვებაზე. თუ თანახმა არ არის, რატომ მიგაქვს ბეჭედი?! შეიძლება, ის ბეჭედი შეინახონ თავისთან და 1-2 წელი პასუხი არ მოგცენ. ზუსტად იგივეა განაცხადის გაკეთებაზეც, თუ სიგნალი არ გაქვს იქიდან. თუ სიგნალი მიღებული გაქვს, ქვეყნები გიჭერენ მხარს და მზად არიან, რომ განხილვა დაიწყონ, მაშინ ეს კარგია.

– სააგენტო „როიტერი“ წერს, რომ მზად არიან ევროკავშირში საქართველოს საკითხის განსახილველად.

– მაგრამ, იცით, რამდენი ხანი უნდა საკითხის განხილვას? – ოფიციალურად 9-დან 15 თვემდე. ამასობაში ხდება ქვეყნის შესწავლა და მინიშნება გარკვეულ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს იქ. თუ იმ ხნის განმავლობაში ქვეყანა ამ პრობლემებს არ გამოასწორებს, ხდება უარყოფა ან გადადება.

– დაჩქარებული წესით კანდიდატის სტატუსის მონიჭება ჩვენს შემთხვევაში არ მოხდება?

– არანაირი დაჩქარებული წესი არ არსებობს.

– არ გამოვა ისე, როგორც უკრაინის შემთხვევაში მოხდა?

– უკრაინის შემთხვევაში სხვა ვითარება იყო.

თუ ქვეყანა მზად არის, მაშინ დიდი შესწავლა არც არის საჭირო. მაგალითად, ისლანდიას რომ მოუნდეს გაწევრიანება ევროკავშირში, იქ არ მოუნდებიან შესწავლას დიდი ხანი.

– გასაგებია, იქ აწყობილია სისტემა და ამის გამო?

– დიახ, აწყობილი სისტემაა და ძალიან კარგად იციან, როგორ მუშაობენ. ევროკომისია ერთ კვირაში დადებს დასკვნას. ჩვენს შემთხვევაში კი მოუწევთ შეფასება, შიგნით იქნება დავა და კონსულტაციები ამ საკითხზე ქვეყნებს შორის, რა პასუხი გავცეთ საქართველოსო. ამასაც დრო უნდა. ევროკავშირის რეზოლუციაც კი არ არის მიღებული ამაზე, მარტო უკრაინაზეა მიღებული.

ევროპარლამენტმა შეიძლება მიიღოს და არ ვამბობ, რომ ეს დიდი პრობლემაა, მაგრამ მე ვამბობ, რომ იქ მზადყოფნა იყოს, რომ იმ პრეტენზიებზე, რომლებსაც წამოაყენებენ, მოხდეს რეაგირება და შეიცვალოს რამე ქვეყანაში. შეიძლება, სკეპტიკური პოზიციიდან ვლაპარაკობ, მაგრამ ეიფორიაში ყოფნას მირჩევნია, ამ პოზიციიდან ვილაპარაკო.

– ეს ხაზი უნდა გავაგრძელო. ხომ არ დავშორდით ბოლო დღეებში ევროპას იმ მხრივ, რომ დღეს ფაქტობრივად არ ვდგავართ ცივილიზებულ სამყაროსთან ხელისუფლების დონეზე, თუ არ ჩავთვლით პრეზიდენტს. პირიქით, კობახიძემ ზელენსკის ფაქტობრივად „ნაცებისგან“ მართული უწოდა. ეს რა პოლიტიკაა და ხომ არ გვაშორებს დასავლურ სივრცეს?

– დავშორდით-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სკეპტიციზმი ძლიერდება დასავლეთში და ეს ფაქტია. ალბათ გაგრძელდება ეს პროცესი. ევროკავშირთან დაახლოება არ არის ის, რომ ჩხუბში ვიღაცა ვიღაცას მიემხროს. ეს ჯანსაღი პოლიტიკის საკითხია. თუ ევროკავშირში გაწევრიანება გინდა, მაშინ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების ვალდებულებები ბოლომდე უნდა შეასრულო. აქედან გამომდინარე, ის გიყენებს გარკვეულ საკითხებს, რომ აქ და აქ შენ გამოსასწორებელი გაქვს გარკვეული პრობლემები. პირველ რიგში ამას უნდა მიაქციონ ყურადღება და არა იმას, რომ მე შევიტანე განაცხადი. იზეიმე მაშინ, როდესაც კანდიდატის სტატუსს მოგცემენ. კანდიდატის სტატუსს როცა მოგცემენ, იქაც არ არის საჭირო ეს, თუმცა მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ, ჩვენ თუ არაფერი შევცვალეთ, დარწმუნებული ვარ, კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ. თუ მოგვცეს ეს სტატუსი, ეიფორია იქაც არ არის საჭირო, იმიტომ, რომ კანდიდატის სტატუსიდან წევრობამდე დიდი გზაა გასავლელი.

„საქართველოს რუსეთი ვერ გადაუვლის. რუსეთი უკრაინაში მარცხდება. ჩვენ ლაჩრულად არ დავუწვებით!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რული აზროვნება ამ ხალხს ხომ უნდა ჰქონდეს. რუსეთმა საშინელი რისხვა გამოიწვია, მას მილიონჯერ მეტად უღირს უკრაინა, ვიდრე საქართველო. პუტინს მოუვიდა ორი უდიდესი კონცეპტუალური შეცდომა.

– კერძოდ?

– მან ვერ გათვალა, რომ ევროპა არ დაუთმობდა და ჩათვალა, რომ ბებერი ბაიდენისა და წასული მერკელის პირობებში მისი დრო მოვიდა, იფიქრა, დავარტყამ უკრაინას და დავამარცხებო. მან ვერც უკრაინა დაამარცხა, თავად ჩაეფლო ყელამდე და მარცხდება უკრაინაში. ორი ხაფანგი დააგო და ორივეში თავად გაება. რა დროს საქართველოა, ხალხო! დაფიქრდეს ყველა! საერთოდ ნადგურდება რუსეთი, როგორც იმპერია. ამ ფონზე ჩვენი შიშები არის სილაჩრე. გამაოგნებელია, როცა უკრაინაში დამარცხებული რუსეთი ჩვენ მოგვადგება. კოკისპირული სანქციები დაუწესა მსოფლიომ რუსეთს. ამ დროს ის ჩვენთვის მოიცლის და ჩვენ ასე სილაჩრით დავემორჩილებით და დავუწვებით?! ასე ფიქრობს ქართველებზე „ქართული ოცნება“, რომ ასეთი დაბეჩავებული და დასუსტებული რუსეთი ჩვენ მოგვერევა?! რუსეთი ყოველდღიურად სუსტდება და ჩვენ უნდა ვიყოთ ნათელ მხარეს.

– გამოჩნდა ნათელი წერტილი და ევროპისგან ისევ გაიღო ფანჯარა. ამ ტალღას რამდენად შევყვებით ევროკავშირში?

– „ქართული ოცნების“ ხელში ვერაფერსაც ვერ შევყვებით. „ოცნებას“ დღეს ამის არანაირი უნარი არ გააჩნია. კატა ძაღლივით ყეფას ვერასდროს დაიწყებს. ეს ხელისუფლება არ მოსულა იმისთვის, რომ ნათელი დაინახოს, იმისთვის არსებობს, რომ სიბნელეში იყოს.

– განაცხადი უნდა შევიდეს და რა მოლოდინი გაქვთ?

– მათაც იციან, რომ განაცხადი ბევრი არაფერია. მაგალითად, თურქეთს 40 წელია, განაცხადი შეტანილი აქვს. განაცხადი გულისხმობს ძალიან სერიოზულ შრომას, ესენი კი არ აპირებენ შრომას. ესენი არ აპირებენ სასამართლოს რეფორმას, არ აპირებენ შარლ მიშელის კონტექსტის გატარებას. თუ ეს ყველაფერი არ გაკეთდა, ევროკავშირში არავინ მიგიღებს. იმიტომ კი არ გამოიყვანა ივანიშვილმა კობახიძეებისა და მდინარაძეების ჯიშის პოლიტიკოსები, რომ დღეს უცებ ნათელ მხარეს გადმოვიდნენ. მათ აქვთ იმედი, რომ ძალაუფლებას დიდხანს შეინარჩუნებენ და მათთვის ამის ერთადერთი გარანტორი არის რუსეთი. არაფორმალურ მმართველობას იტანს მხოლოდ რუსეთი! იმედია, ამ მოვლენების ფონზე პროცედურები გამარტივდება. ძალიან გულდასაწყვეტი იქნება, თუ გვეტყვიან, თქვენ არა ხართ მზადო. ჩვენი ისტორიაც 2008 წლამდე და ამის შემდეგ არის ბრძოლის ისტორია. ევროპამ ეს უნდა დაინახოს და, იმედი მაქვს, ევროპელები მოგვცემენ ამ შანსს. თუმცა, ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში ჩვენ ამ პროცესს ვერ დავიწყებთ.

რა მდგომარეობაა მოლდოვაში?

ბორელი მოლდოვასა და საქართველოს ეწვევა

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, შეიტანოს ევროკავშირში განაცხადი წევრობის კანდიდატობაზე, დაადასტურა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები მიბმულია უკრაინაზე, სადაც სისხლისმღვრელი ომი გრძელდება.

რამ დააჩქარებინა საქართველოს ხელისუფლებას ამ ნაბიჯის გადადგმა მაშინ, როცა მანამდე ერთი დღით ადრე ამას არ აპირებდა, მომავალში გაირკვევა.

„ოცნების“ ხელისუფლება უკრაინის მიერ საომარი მოქმედებების ფონზე ევროკავშირში შეტანილი განაცხადის შემდეგაც იმეორებდა, რომ თვითონ განაცხადს დათქმულ ვადაში – 2024 წელს წარადგენდა.

მსოფლიოში ბევრი რამ გადატრიალდა და დაჩქარდა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ კი უკიდურესად გამძაფრდა.

შესაძლოა, ევროკავშირში შესვლაზე განაცხადი მოულოდნელად გააკეთოს მოლდოვამაც, რომელიც საქართველოსთან და უკრაინასთან ერთად შედის ასოცირებულ ტრიოში. მოლდოვის მონათესავე რუმინეთმა ამ დღეებში განაცხადა, რომ მხარს უჭერს უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს დაჩქარებულად მიღებას ევროკავშირში.

ამჟამად მოლდოვას, ისევე, როგორც პოლონეთს, უნგრეთს, რუმინეთს, სლოვაკეთს, უკრაინიდან ლტოლვილები მიაწყდნენ.

კიშინიოვს, მათზე ზრუნვის გარდა, თბილისის მსგავსად, უსაფრთხოების პრობლემები აწუხებს. მოლდავეთში განსაკუთრებულად აღელდნენ მას შემდეგ, რაც პუტინის მოკავშირე ლუკაშენკომ საბრძოლო რუკის დემონსტრირება მოახდინა. მასზე გამოსახულია მოსალოდნელი დარტყმები. ერთი მათგანი მიმართულია მოლდავეთის კონფლიქტური რეგიონის – დნესტრისპირეთისადმი. ისარი გამოხატავს ოდესა-ტირასპოლის მიმართულებას. ქვეყნის საგარეო უწყებაში დაბარებულმა ბელარუსის ელჩმა ეს სავარაუდო შეცდომით ახსნა.

რუსეთი უკრაინაში შეჭრას სხვადასხვა საბაბით ხსნის. გენერალ-მაიორმა ლიპოვოიმ ახალი ვერსია დაასახელა. ის ირწმუნება, თითქოს რუსეთს ხელში ჩაუვარდა დოკუმენტები უკრაინის ხელისუფლების გეგმების თაობაზე. მისი თქმით, უკრაინის შეიარაღებული ძალები აპირებდნენ თავდასხმას დონბასისა და ლუგანსკის რესპუბლიკებზე, რუსეთმა კი ამის თავიდან ასაცილებლად სამხედრო ოპერაცია წამოიწყო.

საინტერესოა, მაშინ რით ხსნის მოსკოვი დნესტრისპირეთისკენ მიმართულ ისარს?

გაერომ თავის რეზოლუციაში რუსეთს მოსთხოვა ცეცხლის შეწყვეტა და ჯარის გაყვანა უკრაინის ტერიტორიიდან.

რეზოლუციის მიღების დროს ზოგმა ქვეყანამ თავი შეიკავა. წინააღმდეგი წავიდნენ რუსეთი, ბელარუსი, ჩრდილოეთი კორეა, სირია და ერითრეა. ჩინეთის მუდმივმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეზოლუცია არ ითვალისწინებს ისტორიასა და სიტუაციის სირთულეებს.

3-დან 8 მარტის ჩათვლით ევროპას ეწვევა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი. ბრიუსელში იგი მონაწილეობას მიიღებს ნატოსა და დიდი შვიდეულის საგარეო მინისტრების შეხვედრაში. მინისტრები იმსჯელებენ რუსეთის მიერ გაჩაღებულ წინასწარ დაგეგმილ არაპროვოცირებულ ომზე. ბლინკენი ასევე ჩავა პოლონეთში, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა და მოლდოვაში.

მოლდოვის, მოგვიანებით კი საქართველოს მონახულებას გეგმავს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო საკითხებში ბორელი. იგი გაიგებს, თუ როგორ იმოქმედა უკრაინის კრიზისმა საქართველოსა და მოლდოვაზე.

გერმანელი კანონმდებლები კარგა ხანია მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ შეავიწროვონ აგრესორი რუსეთის ოლიგარქები თუ ჩინოსნები, რომლებსაც გერმანიაში უზარმაზარი უძრავმოძრავი ქონება აქვთ. როგორც ჩანს, ამ კუთხით ბერლინი ამუშავდა. გერმანიის ხელისუფლებამ მოახდინა რუსი ოლიგარქის ალიშერ უსმანოვის იახტის კონფისკაცია. იახტის ღირებულება 600 მილიონი დოლარია. 2020 წლის ოქტომბრიდან უსმანოვის იახტა ჰამბურგის ნავმისადგომთან იდგა ხელახალი აღჭურვის მიზნით.

პეკინი რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს არ უერთდება და მხარს არ უჭერს. ამასთან, „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, აშშ-ის ხელისუფლება ცდილობს ჩინეთის ჩართვას გარკვეულ სანქციებში.

„ბლუმბერგის“ განმარტებით, მთელი ელექტრონიკა, რომელშიც გამოიყენება ამერიკული ტექნოლოგიები, ექცევა ახალ სანქციებში მაშინაც კი, როცა პროდუქცია სხვა სახელმწიფოში მზადდება. თუ ჩინეთი სანქციებს არ შეუერთდება, არსებობს რისკი, რომ ის დაკარგავს წვდომას აუცილებელ ამერიკულ ტექნოლოგიებზე. ჩინეთი რუსეთისთვის ტექნიკის უმსხვილესი მიმწოდებელია.

სანქციებში აქტიურად მონაწილეობს იაპონია. ტოკიომ აქტივები გაუყინა რუსეთის 4 უმსხვილეს ბანკს, მათ შორის, ვი თი ბი-ს. მანამდე იაპონიამ შეზღუდვები დაუწესა პუტინს, ლავროვს, მედვედევს, 49 რუსულ კომპანიასა და რუსეთის ცენტრალურ ბანკს.

70 იაპონელი მოხალისე იბრძოლებს უკრაინის უცხოელთა ლეგიონში.

„ვერ წარმოვიდგენდი, რომ რუსები უკრაინის დედაქალაქ კიევს შეეხებოდნენ“

ვახტანგ მაისაია: „პუტინი იმედოვნებდა, რომ უკრაინაში შეიჭრებოდა და უკრაინელი ხალხი ყვავილებით შეეგებებოდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, მგონი, არ მოელოდით, რომ რუსეთი უკრაინაზე ფართომასშტაბიან შეტევას განახორციელებდა.

– 22 იანვარს, როგორც სამხედრო ანალიტიკოსმა, პროგნოზი გავაკეთე, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრებოდა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც შემდეგ უკრაინაში შეიჭრნენ. ეს იყო ხარკოვისა და დონბასის მიმართულება, მაგრამ სისხლიანი პუტინის ფანტაზიებმა ჩემს მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა.

ვერ წარმოვიდგენდი და ვერ გავთვალე, რომ რუსები უკრაინის დედაქალაქ კიევს შეეხებოდნენ და ვერაგულად გაიმეტებდნენ. უბრალოდ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ პუტინი ამას გაბედავდა.

– ბელარუსის მხრიდანაც ხომ შეიჭრნენ?

– ბელარუსის მხრიდან შეჭრის საშიშროება იყო. პუტინის ორიგინალ გეგმაში ბელარუსში მდგარი რუსულ-ბელარუსული გაერთიანებული საარმიო დაჯგუფება დამხმარე არიერგარდული ტიპის დარტყმის ობიექტად მოიაზრებოდა, მაგრამ ძირითადად იმ მიმართულებით წავიდა, რაც 22 იანვარს ვთქვი.

ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ შეიძლებოდა დაწყებულიყო საომარი მოქმედება. პუტინს უნდოდა, ჰიბრიდული ომის მე-4 სამხედრო ფაზით დაეწყო. მას ოთხივე ფაზა სრულმასშტაბიანად ჰქონდა ჩართული, მაგრამ მთავარი მე-4 ფაზა უნდა ყოფილიყო, ანუ დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტი.

ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფები ბატალიონისა და ყველა დონეზე შეიქმნა. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ აერომობილური და სპეცდანიშნულების შეიარაღებული ძალებით. მათ ჰქონდათ ძალიან შეზღუდული დამრტყმელი შეიარაღება და შედარებით დაბალი ოპერატიულ-ტაქტიკური ავიაციის მხარდაჭერა.

პუტინი იმედოვნებდა, რომ ის უკრაინაში შეიჭრებოდა და უკრაინელი ხალხი ყვავილებით შეეგებებოდა. პუტინი ფიქრობდა, რომ თავის ოპერატიულ სწრაფ შეტევას განახორციელებდა და დაახლოებით 5 დღეში იმ ტერიტორიას აიღებდა, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს.

– პუტინს უკრაინაში რუსულენოვანი მოსახლეობაც დაუპირისპირდა.

– მთლიანად სამხრეთ უკრაინის, დონბასისა და ლუგანსკის არაოკუპირებული ნაწილის დაკავებაზე იყო საუბარი, ასევე – დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის რაიონის, ზაპოროჟიეს, ოდესის, ხერსონის, ნიკოლაევის აღებაზე და დონეცკისა და ლუგანსკის მთლიანად აღება უნდოდა. როცა ამ რეგიონებს აიღებდა და დნეპრის მიმართულებით გავიდოდა, მერე უკვე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჩაანაცვლებდა. პუტინი ფიქრობდა, რომ ზელენსკის ხელისუფლება შეშინდებოდა და კიევის ცენტრალურ ტერიტორიას რუსები ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაიკავებდნენ, კაპიტულაციის გზით.

მსუბუქი ბლიცკრიკის სტრატეგიული ოპერაცია უნდოდა ჩაეტარებინა არიერგარდული სწრაფი რეაგირების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელშიც რუსეთის რეგულარული ნაწილიც შედიოდა. ესეც აგრესია იქნებოდა. მცირემასშტაბიანი იქნება თუ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, აგრესია აგრესიაა. ეს იყო პუტინის გეგმა.

თან პუტინი აპირებდა, დონბასელი და ლუგანსკელი სამხედრო სეპარატისტები გამოეყენებინა, მაგრამ მათი ძალები უნდა ყოფილიყვნენ მართვის ოპერატიული რეზერვის სახით, ანუ პუტინი ასეთი, რუსული შეიარაღებული ძალებისთვის შედარებით მსუბუქი კონტინგენტით აპირებდა, კუთხეში დაეყენებინა უკრაინა და უკრაინის პოლიტიკური ხელისუფლება გაეტეხა.

ისინი არ აპირებდნენ დასავლეთ უკრაინაში გადასვლას, რადგან იცოდნენ, რომ იქ ძალიან ძლიერი იყო ანტირუსული განწყობა, მაგრამ შემდეგ იქაც აღმოჩნდნენ. ამ რეგიონებში შესვლამ პუტინის სრული კრახი გამოიწვია. თან პუტინმა განახორციელა მოულოდნელი სარაკეტო-საარტილერიო დარტყმები ტაქტიკურ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეებზე.

მას უნდოდა უკრაინის შეიარაღებული ძალების კომუნიკაციების, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და სალოკაციო ცენტრების სრული განადგურება. შესაბამისად, უნდოდა მოეხდინა მართვის შეიარაღებული ძალების დეზორგანიზაცია და ფსიქოლოგიური ომის წარმოების არმიცემა.

– რეალურად, რუსეთმა ფსიქოლოგიური ომიც წააგო.

– უნდოდათ, ეს ყველაფერი ერთად, კომბინირებულ კონტექსტში ყოფილიყო. შეტევა განხორციელდა 24 თებერვლის დილის 6 საათზე. ფაქტობრივად, პუტინმა განახორციელა ჰიტლერის ბარბაროსას სამხედრო სტრატეგია, ოღონდ უფრო მსუბუქი შეიარაღებული ძალების კომპონენტებით, მაგრამ პუტინი ძალიან მწარედ შეცდა. მან მეორე დღესვე იგრძნო და დაადაფიქსირა, რომ ვერ შეძლო დასახული ამოცანების შესრულება.

უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დარჩა და აკონტროლებდა იმ ტერიტორიასაც კი, სადაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს ოპერატიულ-ტაქტიკური წარმატების მიღწევა. მაგალითად, ხარკოვის მთლიანი აღებაც კი ვერ მოხერხდა. თუმცა ხარკოვს ალყა შემოარტყეს და ღრმა ოპერატიულ ზურგშია.

რუსებმა მარიოპულის, კრემატორსკისა და სლავიანსკის აღება ვერ შეძლეს. შესაბამისად, ვერ შეძლეს ვერც ოდესის, ხერსონის, ნიკოლაევის დაკავება. დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს მიმართულებით გაჭრა საერთოდ ვერ მოახერხეს.

– მე მგონი, ტერიტორიის დაკავებას არც ახდენენ, კიევისკენ სწორხაზოვნად მიემართებიან.

– როცა მისი პირველი გეგმა ჩავარდა, მერე პუტინმა გადაწყვიტა, გამოეყენებინა სტრატეგიული რეზერვი და ჩრდილოეთიდან – ბელარუსიდან განახორციელა მოულოდნელი შეჭრა, რათა პირდაპირი დარტყმა მიეყენებინა უკრაინის დედაქალაქისთვის, ანუ თავისი გეგმის კორექტირება მოახდინა. მას უკვე მოუხდა მძიმე არტილერიის, მძიმე ძალის გამოყენება, რომელიც შექმნილი იყო რუსეთ-ბელარუსის სამხედრო-სტრატეგიული სწავლების პერიოდში და უკრაინას ჩრდილოეთის მიმართულებიდან შეუტია.

ამანაც არ გაამართლა იმიტომ, რომ ქალაქ სუნის, ჩერნიგოვისა და უკრაინის დედაქალაქის დაკავება ვერ მოახერხეს. სამი მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული სამკუთხედის ქალაქი, პრაქტიკულად, ვერ აიღეს.

ტაქტიკური პლაცდარმები (სტრატეგიული წერტილები) შექმნეს, გემატოპოლის, ჩერნობილის ზონა რომ დაიკავეს, თუმცა ამის იქით მათ წინ ვერ წაიწიეს.

როგორც ვხედავთ, ახლა პუტინი გადავიდა მეორე გეგმაზე და მეორე ეტაპზე, სადაც რუსეთის შეიარაღებული ძალები უკვე მოქმედებენ ბარბაროსულად და ანტიჰუმანურად. ამ გზით საომარ მოქმედებებში გარდატეხის შეტანას ცდილობენ. ფაქტობრივად, პუტინმა უკრაინას გამოუცხადა პირდაპირი ფართომასშტაბიანი ომი. ეს უკვე სრულმასშტაბიანი ომია.

ნიკოლაევი, ხერსონა, ოდესა ვერ აიღეს, მაგრამ კიევის ჩრდილო-დასავლეთით აიღეს გოსტომელი, სადაც რუსებმა ტაქტიკური პლაცდარმი გააკეთეს.

– გეგმების ჩავარდნამ ხომ არ გამოიწვია პუტინის მხრიდან ატომური იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა?

– რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს. პუტინმა თავისი ბირთვული ტრიადა სპეციალურ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა არ არის, მაგრამ, თუ ადრე ბირთვული ტრიადის კომპონენტებით (საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო) მორიგეობას (ძირითადად საზღვაო) თვეში ერთხელ ახორციელებდნენ, დაფრინავდნენ გარკვეულ ადგილებში, რომ, უბრალოდ, გეგმური ტესტირება გაეკეთებინათ და თავიანთი მისია შეესრულებინათ სტრატეგიული ბირთვული შეკავების კონტექსტში, ახლა იგივე თვითმფრინავები (წყნარი ოკეანის წყალქვეშა ნავები და, მგონი, ჩრდილოეთის პორტის ბირთვული-საზღვაო ტრიადის კომპონენტები), ავიაციის ბომბდამშენები ყოველდღე იმორიგეევებენ.

– შეიძლება, ბევრმა ისე გაიგო, რომ შემაკავებელი ძალების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანა ბირთვული იარაღის მართვის პულტთან მორიგეობა იყო.

– არა. პრინციპი ასეთია: დავუშვათ, ადრე ბირთვული სტრატეგიული ბომბდამშენები ბირთვული ქობინებით (სტრატეგიულ ბომბდამშენებზე ბირთვულ ქობინებს უკეთებენ), შესაბამისი ბირთვული აფეთქების მოცულობებით (10-20 კილოგრამი) საბრძოლო მორიგეობაზე გადიოდნენ 2 თვეში ერთხელ (ეს საიდუმლო გეგმაა. მე პრინციპს გიხსნით) ბირთვული ტრიადის საზღვაო და საჰაერო ძალების შეიარაღების კომპონენტებით.

– სახმელეთოც ხომ არის.

– დიახ და ბალისტიკურ რაკეტებს უკეთებენ 2 თვეში ერთხელ (ეს იყო ერთგვარი საბრძოლო მორიგეობის რეჟიმი გეგმურად), ახლა გამოდის, რომ ბირთვული ქობინების ტრიადის ფარგლებში იფრენენ კვირაში 3-4-ჯერ ან უფრო მაღალი ინტენსივობით.

– კონკრეტულად სად, რომელ ტერიტორიებზე იფრენენ?

– ტერიტორია განსაზღვრულია. ეს არის, ვთქვათ, წყნარი, ჩრდილოეთ და ატლანტის ოკეანეების ტერიტორიებზე, სადაც მათ აქვთ, გარკვეულწილად, დისლოკაციის ადგილები, ისინი მიდიან გარკვეულ წერტილამდე და პირობითად დარტყმის ქვეშ იღებენ მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს. ამ პერიოდში რას აკეთებენ, მაგას ვინ გეტყვის, სუპერსაიდუმლო ინფორმაციაა, მაგრამ პრინციპი ასეთია.

– პუტინს ბირთვული დარტყმების შეეშინდა თუ, პირიქით, შეიძლება, ბირთვულ დარტყმებს თვითონ ამზადებდეს?

– პუტინი გადავიდა პრევენციული ბირთვული დაშინების პოლიტიკაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, უბრალოდ, თავის სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებს აფრთხილებს, რომ შემდეგი ნაბიჯი დარტყმა იქნება. ამას ჰქვია სტრატეგიული ბირთვული დაშინების სტრატეგია.

– უკრაინის ხელისუფლება დღეს რა ვითარებაშია, როდესაც მოლაპარაკებები დაიწყო? შეთანხმება რაზე შეიძლება?

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, საბრძოლო მოქმედებების თეატრის ზონაში რა ვითარება იქნება, როგორი იქნება მოსახლეობაში მსხვერპლი. რუსები, ფაქტობრივად, სამხედრო ტერორზე გადავიდნენ. ისინი უკვე მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავენ. რუსებს უნდათ, ზელენსკის მთავრობა მათი მძევალი იყოს, ბავშვებსა და ქალებს ხოცავენ. ჩემზე ძალიან იმოქმედა პატარა ბავშვის დასაფლავების სცენამ.

არაფერი მიკვირს, აფხაზეთის ომშიც ვიყავი და ცხინვალის ომშიც შეძლებისდაგვარად ვმონაწილეობდი. ვალის მოსახდელად რომ მივედი, სახლში გამომიშვეს, საჭირო არ ხარო. ჩემნაირი 1500 ადამიანი იყო, მაგრამ ჩემს მოვალეობას მაინც ვიხდიდი. შემთხვევითი არ არის, რომ მე რუსეთის შავ სიაში ვარ შეყვანილი, რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა მეკრძალება. ამის დამადასტურებელი კონკრეტული დოკუმენტიც გამაჩნია.

რუსეთში არის შავი სია. შავი სიაში შესულ ადამიანებს რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება ეკრძალებათ. თუ შევა, მას დაკავებენ. ტატუნაშვილის მაგალითზე ჩვენ უკვე ვიცით, რა ელით შავ სიაში მყოფ მოქალაქეებს.

– გავრცელდა კადრები, სადაც რუსეთის ტანკები უკრაინის დედაქალაქ კიევისკენ მიემართებიან. მათი კოლონა 60 კილომეტრზეა გაჭიმული. რას ელოდებით?

– ყველაფერი დამოკიდებულია უკრაინის გამძლეობაზე. ბრძოლა გრძელდება. პუტინი ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, კიევი დაიკავოს. კიევის დაკავებით პუტინი სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანას გადაწყვეტს. გაჩნდა ინფორმაცია, რომ პუტინს უნდა უკრაინის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. როგორც ჩანს, უკრაინის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაც ჩამოყალიბებული აქვთ. ამის წარმოჩენა კიევის დაკავების შემდეგ მოხდება. ამით პუტინი ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური ვითარების გარდატეხას ცდილობს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „3 მარტი ისტორიული დღეა საქართველოსთვის — ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მტკიცე და მყარი საფუძველი ჩვენი ქვეყნის საბოლოო ევროპეიზაციისთვის.

საამაყოა, რომ 2014 წლიდან ჩვენი ხელისუფლების თანმიმდევრულობითა და საზოგადოების მხარდაჭერით საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი, წარმატებით ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის ევროკავშირთან სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების კუთხით.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კარგი მმართველობა უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ვამკვიდრებთ ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით ევროკავშირის/შენგენის სივრცეში, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა ჩვენს საზოგადოებებს და ხალხებს შორის მჭიდრო კავშირების დასამყარებლად.

თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბაზარში ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას მივაღწიოთ. ქვეყნის მოდერნიზაცია, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მთელ რიგ სექტორებში შეუქცევადი გახდა.

შეუქცევადი სწრაფვა ევროპული დემოკრატიის მშენებლობისა და შესაბამისად ევროკავშირის წევრობისკენ საქართველოს გამთლიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, მჯერა ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ჩვენ ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად გავივლით და მათთან ერთად ავაშენებთ ერთიან ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოს.

ზოგჯერ ევროპაში უჩნდებათ კითხვა: არის თუ არა საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანა. თორემ, ამ კითხვაზე პასუხი საქართველოში ყველასთვის ცხადია. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში.

ფრანგი მოაზროვნის, პოლ ვალერის, დეფინიციის მიხედვით, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება განიხილებოდეს ევროპული სივრცის წევრად, მან სამი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა: 1. ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა, 2. ქრისტიანული მრწამსი და 3. დემოკრატიული ტრადიცია. ამ კრიტერიუმების მიხედვით, საქართველო, უდავოდ ევროპული სივრცის, ევროპული ოჯახის წევრია.

საკუთარი ათასწლოვანი კულტურითა და ისტორიით ამაყი ქართველი ერი მუდამ იყო ევროპაზე ორიენტირებული, მისი ღირებულებების ერთგული. მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა შექმნა ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უაღრესად დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო, რომლის სულისკვეთება და კონსტიტუცია ევროპის დღევანდელ კრიტერიუმებსაც კი ზედმიწევნით შეესაბამებოდა.

1991 წელს აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც ამავე კონსტიტუციას, ევროპულ ღირებულებებს დაეფუძნა და მთავარ გეზად ევროპული ორიენტაცია განსაზღვრა.

ევროპული მომავალი არის საქართველოს ყველა მთავრობისათვის ქართველი ერის მიერ განსაზღვრული პროგრამაც და უალტერნატივო სამოქმედო გეგმაც.

დასასრულს, მინდა მოვიშველიო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ევროპის კონსტიტუციის ავტორის, მიხეილ მუსხელიშვილის (მიშელ მუსხელის) სიტყვები, ადამიანის, რომელმაც გაუსწრო დროს და ერთიანი ევროპის იდეით შეპყრობილმა იწინასწარმეტყველა კიდეც ევროგაერთიანება: „საქართველომ იცის, რომ ევროპას ეკუთვნის. ახლა ევროპამ უნდა გააკეთოს დასკვნები. საჭიროა, საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი ევროპაში და დასავლურმა ერებმა მიიღონ საქართველო თავიანთ ოჯახში“.

ეს სიტყვები, ისე, როგორც არასდროს, პასუხობს დღევანდელ რეალობას. იმედი გვაქვს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღეს საფუძველი ეყრება ისტორიულ პროცესს, რომელიც საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობამდე მიგვიყვანს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გვარამია: „ბადრაგმა აგინა და ცემა სააკაშვილის ადვოკატი თუთბერიძე“

საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, ნიკა გვარამიას განცხადებით, რუსთავის ციხის ბადრაგმა ადვოკატ შოთა თუთბერიძეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

მიხეილ სააკაშვილმა ბადრაგის ვინაობის დაუყოვნებლივ გასაჯაროება მოითხოვა.

„რუსთავის ციხის ბადრაგმა ადვოკატ შოთა თუთბერიძესთან აგინა მიხეილ სააკაშვილს, რის გამოც მიიღო შესაბამისი პასუხი. ბადრაგმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატს და სხვა ბადრაგებმა გაარიდეს დანაშაულის (სწორედ დანაშაულის) ჩადენის ადგილს.

კატეგორიულად მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ბადრაგის ვინაობა, ვიდეომასალა და ეს ნაძირალა დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით!

ამას რომ ადვოკატს საჯაროდ გაუკეთებ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი საფრთხის ქვეშაა პრეზიდენტი სააკაშვილი!“ – დაწერა ნიკა გვარამიამ ფეისბუქში.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ადვოკატ შოთა თუთბერიძის მიმართ №12 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, ადვოკატთან დაუყოვნებლივ განხორციელდა კომუნიკაცია მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით.

„მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, 2022 წლის 2 მარტს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის მხრიდან ადვოკატ შ.თ.-ს მიმართ №12 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ადვოკატ შ.თ.-სთან დაუყოვნებლივ განხორციელდა კომუნიკაცია მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით. სპეციალური საგამოძიებო სამსახური შემჭიდროვებულ ვადებში ჩაატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას“, – ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

რუსთავის მე-12 პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის სამმართველოს ინსპექტორს, რომელმაც შოთა თუთბერიძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩერდა. ინფორმაციას სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

„ადვოკატ შოთა თუთბერიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ მიმდინარე წლის 2 მარტს, №12 პენიტენციურ დაწესებულებაში შოთა თუთბერიძესა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთ მოსამსახურეს შორის გარკვეულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი.

სპეციალური პენიტენციური სამსახური, აღნიშნული ფაქტის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, შესაბამის საგამოძიებო უწყებებთან მაქსიმალურად ითანამშრომლებს. საქმეზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის „ბ“ პუნქტით. ასევე, აღნიშნულ ფაქტზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ დაწყებულია მოკვლევა და ინციდენტში მონაწილე პირს, პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის სამმართველოს ინსპექტორს, შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილება.

სპეციალური პენიტენციური სამსახური კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, სრულად არის დაცული, როგორც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, ასევე, მათთან ვიზიტად მყოფი პირების უფლებები“, – ნათქვამია განცხადებაში.

– ეს არის დადასტურება იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი ნამდვილად გახდა მსხვერპლი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, – ასე გამოეხმაურა შოთა თუთბერიძე რუსთავის ციხეში ბადრაგის მხრიდან მასზე მომხდარ თავდასხმას.

მისი თქმით, ყველა ზომას მიმართავს იმისათვის, რომ თავდამსხმელი კანონის შესაბამისად დაისაჯოს.

– ეს ადამიანი არის უბრალოდ ნათელი მაგალითი, ინდიკატორი, წითელი ნათურა, გაფრთხილების სიგნალი, თუ როგორ ვექცევით მესამე პრეზიდენტს. ვაპირებ, რომ განცხადებით მივმართოთ საგამოძიებო უწყებებს. დარწმუნებული იყოს ეს ვაუბატონი, ყველა ზომას მივმართავ იმისთვის, რომ დაისაჯოს კანონის შესაბამისად. ჩანს, ხელისუფლება როგორ ადამიანებს ეყრდნობა მიხეილ სააკაშვილის რეპრესირების დროს, – თქვა შოთა თუთბერიძემ.

გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება აიკრძალა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, გუდაური-კობის მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

უწყების ცნობით, შეზღუდვის მიზეზი ზვავსაშიშროების საფრთხის მაღალი დონე გახდა.

„გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების საფრთხის დონე მაღალია, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა“, – ნათქვამია საავტომობილო დეპარტამენტის ინფორმაციაში.

საძოვრების საკადასტრო კოდების სიის გამოქვეყნება დაიწყო

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეირჩა.

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საძოვრების საკადასტრო კოდების ჩამონათვალი უკვე ხელმისაწვდომია პროგრამის განმახორციელებელი უწყების – სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე.

„ზემოაღნიშნულ ვებგვერდებზე ასევე ხელმისაწვდომია საძოვრების შესახებ ინფორმაცია, რაც მოიცავს: საკადასტრო კოდს, ფართობს, მდებარეობას, საკადასტრო გეგმასა და ამონაწერს საჯარო რეესტრიდან; მითითებულია საკადასტრო კოდებზე პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების და დასრულების თარიღი.

ფერმერებს, რომლებიც მეცხოველეობას მისდევენ, შესაძლებლობა ეძლევათ, პროგრამაში ჩაერთონ და აუქციონის გზით, სამი წლის ვადით, სასურველი საძოვარი იჯარით აიღონ. პირველ ეტაპზე, შერჩეულია კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის საძოვრები.

პრეტენდენტის პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელი მოთხოვნაა მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მფლობელობაში ყოლა.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ და ფეისბუქ გვერდებზე.

კოდების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის დასრულების შემდგომ, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო მსურველთა რეგისტრაციას დაიწყებს და განაცხადებს მატერიალური სახით შემდეგ მისამართზე მიიღებს: ქ. თბილისი 0160, ვაზისუბნის ქ. 25. პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით, სააგენტო შეარჩევს აუქციონში მონაწილეების სიას და გადააგზავნის ქონების ეროვნულ სააგენტოში. აუქციონს ქონების ეროვნული სააგენტო გამართავს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

წალენჯიხაში ველოსიპედისტი გოგონა დაიღუპა

წალენჯიხაში მესამე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ველოსიპედით ღელეში გადავარდა და ადგილზე დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, გოგონა ფერდობზე ველოსიპედით გადაადგილდებოდა, როდესაც ღელეში გადავარდა და თავი ქვას დაარტყა. მიღებული ტრავმის შედეგად არასრულწლოვანი ადგილზე გარდაიცვალა.

ამჟამად ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

გოგონას წინა დღეს დაბადების დღე ჰქონდა.

გოგა ხაინდრავა: „სოხუმში გამავალი მთელი გვირაბი რუსული სამხედრო ტექნიკითაა გავსებული“



– შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა ჩაიშალა, – ამის შესახებ გოგა ხაინდრავამ გადაცემა „იმედი ლაივში“ განაცხადა.

– მადლობა ღმერთს, რომ ამდენად გაზრდილია ის პოლიტიკური პარტია, რომელიც დღეს არის ხელისუფლების სათავეში, „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობ.

მე არ ვარ არც პოლიტიკოსი, არც პოლიტიკური პარტიის წევრი. ვარ ამ საზოგადოების, ამ ქვეყნის შვილი და საერთაშორისო ურთიერთობების დიდი გამოცდილება მაქვს: ორჯერ სახელმწიფო მინისტრი ვიყავი, უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების 45 რაუნდი მაქვს ჩატარებული. დღევანდელ დღეს, ალბათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა ჩაიშალა, – განაცხადა ხაინდრავამ.

მისი თქმით, ნამდვილად ამის განზრახვა იყო. ამის მანიშნებელია ის, რომ რუსულ ჯარში ბრძანება №1 იყო გამოცხადებული.

– იყო გამოცხადებული ჯარში ბრძანება №1. ეს იყო გამოცხადებული სოხუმსა და ცხინვალში. მინდა გითხრათ, სრული პასუხისმგებლობით ვსაუბრობ, რომ სოხუმში გამავალი მთელი გვირაბი, რუსული სამხედრო ტექნიკითაა გავსებული. საბრძოლო მზადყოფნაში იყო მოყვანილი რუსული კონტინგენტი როგორც ცხინვალში, ასევე აფხაზეთში. არც აფხაზეთსა და არც ცხინვალში საკუთარი ჯარი არ ჰყავთ. ამიტომ, ვის მისცეს ეს ბრძანება?! ეს იყო ნიშანი – იცოდეთ, დაგარტყამთ! – განაცხადა ხაინდრავამ.

ხობში მე-11 კლასელი სკოლის ფანჯრიდან გადავარდა

სამეგრელოში, ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლის შენობის მესამე სართულიდან მე-11 კლასელი გოგონა ფანჯრის რაფიდან გადმოვარდა. მისი მდგომარეობა მძიმეა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევა საგაკვეთილო პროცესის 5-წუთიანი შესვენების დროს მოხდა.

ადგილზე პოლიცია და ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებოდნენ. მოხდა თვითმხილველებისა და პედაგოგების გამოკითხვები.

მოზარდი ქუთაისის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა აიკრძალა

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა აიკრძალა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები კონტროლს მთელი საქართველოს მასშტაბით გაამკაცრებენ.

აკრძალულ პერიოდში ნადირობის შემთხვევაში, პირს შესაბამისი საჯარიმო სანქციის გადახდა მოუწევს. რიგ შემთხვევებში, მოხდება მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის კონფისკაცია. ასევე, შესაძლებელია, პირს სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება ჩამოერთვას.

ფრინველის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში, საჯარიმო თანხას გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხა ემატება. თუ მოპოვებული ნანადირევით გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება.

ნადირობის სეზონი მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში გაიხსნება.

აშშ: „მოვუწოდებთ პუტინსა და მის მთავრობას, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ეს სისხლისღვრა!“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მოუწოდებს, „დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სისხლისღვრა“ და გაიყვანოს ჯარები უკრაინის ტერიტორიიდან.

„მოვუწოდებთ პუტინსა და მის მთავრობას, პატივი სცენ რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ეს სისხლისღვრა, გაიყვანონ ჯარები უკრაინის ტერიტორიიდან და პატივი სცენ საკუთარი მოქალაქეების ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს“, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტი კრემლს მედიის თავისუფლებასა და სიმართლეზე თავდასხმაში ადანაშაულებს.

„კრემლი ჩართულია მედიის თავისუფლებასა და სიმართლეზე სრულ თავდასხმაში და მოსკოვი აძლიერებს მცდელობებს, ჩაახშოს სიმართლე მის მიერ განხორციელებული სასტიკი შეჭრის შესახებ“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ლატვიის სეიმი უკრაინის ევროკავშირში წევრობას მხარს უჭერს

ლატვიის სეიმმა დაამტკიცა განცხადება, რომელიც უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას უჭერს მხარს.

განცხადების თანახმად, უკრაინა იყენებს თავის უფლებას, განსაზღვროს საკუთარი მომავალი და იბრძვის ევროპული ღირებულებებისთვის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიისა და ფართომასშტაბიანი შეჭრისთვის წინააღმდეგობის გაწევით.

დოკუმენტის თანახმად, დეპუტატებს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიაჩნიათ, გამოხატონ აშკარა მხარდაჭერა უკრაინის მიზნისთვის, გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

განცხადება მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუტებს, იმუშაონ უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის რაც შეიძლება მალე მინიჭებაზე.

განცხადებაში დეპუტატები ასევე მოუწოდებენ ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას, მხარი დაუჭირონ უკრაინის ძალისხმევას, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი სახელმწიფო და მხარი დაუჭირონ უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

სეიმი ამტკიცებს, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭება იქნება ევროკავშირის სოლიდარობის უმნიშვნელოვანესი სიგნალი, რაც დაადასტურებს, რომ უკრაინა ევროპის ნაწილია და ახლა მთელი ძალით იბრძვის ევროპული ღირებულებებისთვის.

დეპუტატები ადასტურებენ, რომ ლატვია მზადაა, მხარდაჭერა გაუწიოს უკრაინას ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისკენ მიმავალ გზაზე.

მსოფლიო ბანკი რუსეთსა და ბელარუსში ყველა პროგრამას აჩერებს

უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების გამო მსოფლიო ბანკმა რუსეთსა და ბელარუსში ყველა პროგრამა შეაჩერა.

ამის შესახებ ბანკის განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც მსოფლიო ბანკი აცხადებს, ახალი სესხები ან ინვესტიციები 2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინის ყირიმის რეგიონის ანექსია განახორციელა, რუსეთში აღარ დაუმტკიცებია, ბელარუსისთვის სესხების დამტკიცება კი 2020 წლიდან შეწყვიტა, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანას სანქციები დაუწესა.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი უკრაინის დაფინანსებისთვის დამატებით მილიარდობით დოლარს გამოყოფენ.

რომან აბრამოვიჩი ჩელსის გაყიდის და უკრაინას დაეხმარება

რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი აცხადებს, რომ საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ გაყიდის და მიღებულ ფინანსებს საქველმოქმედო ფონდს გადასცემს, რომელიც უკრაინის ომის ყველა მსხვერპლს დაეხმარება.

– ეს მოიცავს კრიტიკული თანხების მიწოდებას მსხვერპლთა გადაუდებელი და დაუყოვნებელი საჭიროებებისთვის, ასევე აღდგენის გრძელვადიანი მუშაობის მხარდაჭერას, – განაცხადა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჰააგის სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ უკრაინაში რუსეთის ქმედებებზე გამოძიება დაიწყო. გამოძიების დაწყების მოთხოვნით მას 38 სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ მიმართა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მტკიცებულებების შეგროვება სავარაუდო ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების და გენოციდის შესახებ.

– უკრაინაში არსებული ვითარების პირველადი ანალიზის შემდეგ ჩემმა ოფისმა საკმარისი საფუძველი დაინახა ვარაუდისთვის, რომ იქ, შესაძლოა, ჩადენილია ჩვენი სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ მოქცეული დანაშაულები. უკვე გამოვლენილია და გამოძიებას საფუძვლად დაედო კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება ასეთად ჩაითვალოს, – თქვა კარიმ ხანმ.

სანქციების დაწესების შემდეგ რუსი მილიარდერები იახტებით მალდივებზე მიდიან

რუსი მილიარდერები საკუთარი სუპერიახტებით მალდივებისკენ მიდიან. გემების მონიტორინგის მონაცემებმა აჩვენა, სულ მცირე, 5 იახტის გადაადგილება. ისინი ან გაჩერდნენ ან გადაადგილდებოდნენ ინდოეთის ოკეანეში. გემების გადაადგილება მოჰყვა რუსეთის მიმართ დასავლეთის სანქციების დაწესებას.

მალდივის კუნძულებს აშშ-სთან ექსტრადიციის ხელშეკრულება არ აქვს.

ამერიკის პრეზიდენტმა კონგრესში გამოსვლის დროს თქვა, რომ სპეციალური სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც რუსი ოლიგარქების ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს.

ოთხშაბათს, გვიან, ფორბსმა გავრცელა ინფორმაცია, რომ გერმანიამ რუს მილიარდერს, ალიშერ უსმანოვს, მეგაიახტა ჩამოართვა.

უსმანოვი იმ მილიარდერთა სიაში იყო, რომლებსაც ორშაბათს ევროკავშირი სანქციებით დაემუქრა.

მანამდე, სუპერიახტა კლიო, რომელიც ეკუთვნის ოლეგ დერიპასკას, ალუმინის გიგანტის დამფუძნებელს, ოთხშაბათს მალდივების დედაქალაქ მალესთან ნახეს გაჩერებული. ოლეგ დერიპასკას 2018 წელს აშშ-მ სანქციები დაუწესა.

„ტიტანი“, რომელსაც ფოლადის მწარმოებელი ევრაზის თანადამფუძნებელი ალექსანდრე აბრამოვი ფლობს, მალდივებზე 28 თებერვალს ჩავიდა.

რუსი მილიარდერების კუთვნილი კიდევ სამი იახტა ნახეს ოთხშაბათს მალდივის წყლებში. მათ შორისაა „ნირვანა“, რომელიც ეკუთვნის რუსეთის უმდიდრეს ადამიანს, ვლადიმერ პოტანინს.

მალდივების მთავრობამ კომენტარის მოთხოვნას არ უპასუხა.

სპორტი

მეორე ტურის მთავარი მატჩი ბათუმში გაიმართება

4 მარტს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტური იწყება. პირველ ტურში ოთხი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს, ხოლო ერთი – სტუმრებმა. შედეგად, ცხრილი ორ ნაწილად არის გაყოფილი – მოგებულები და წაგებულები.

შედეგად, ტური საინტერესო უნდა გამოდგეს. ცენტრალური მატჩი კი ბათუმში გაიმართება, სადაც გასული სეზონის ჩემპიონთან სათამაშოდ მეორეადგილოსანი თბილისის დინამო ჩადის.

4 მარტი

გაგრა-საბურთალო

15:00. თბილისი. დინამო არენა

გაგრამ სეზონი მარცხით დაიწყო, მაგრამ გორის დილასთან საკმაოდ სიმპათიური ფეხბურთი აჩვენა. მათი ასეთი თამაში სისტემატურ ხასიათს მიიღებს თუ ერთჯერადი გამონათებები ექნებათ, ამას სეზონის მიმდინარეობა გვაჩვენებს.

გაგრელთაგან განსხვავებით, საბურთალომ მოიგო, გაჭირვებით, მაგრამ მაინც. დედაქალაქელებს წელს მაღალ მიზნებზე აქვთ ამბიცია, აქედან გამომდინარე, საინტერესო მატჩს ველოდებით.

ტოხპედო-დიღა

18:30. ქუთაისი. რამაზ შენგელია

სეზონის სტარტზე ქუთაისური გუნდი თბილისში შერცხვა და ქართულ დერბიში თბილისის დინამოსთან 0:4 წააგო. გუნდი ახლა რეაბილიტაციას საკუთარ მოედანზე ეცდება. საამისო გუნდი მთავარ მწვრთნელ გია ცეცაძეს შეკრებილი ჰყავს, მაგრამ, რამდენად მისცემს ამის საშუალებას მეტოქე, უშუალოდ მატჩში ვნახავთ.

რიონისპირელებს კი მეტოქე იოლი არ ჰყავთ – გასული სეზონის ბრინჯაოსმედალოსანი გორის დილა წელსაც მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას და სასტარტო მატჩიც მოგებული აქვს.

დინამო (ბთ)-დინამო (თბ)

20:30. ბათუმი. აჭარაგეთ არენა

ეს გუნდები ამ სეზონშიც ჩემპიონობის პრეტენდენტები არიან და უშუალოდ ერთმანეთში ნათამაშები მატჩები ბევრ რამეს გადაწყვეტს.

სტარტი ორივეს შესანიშნავი ჰქონდა და ორივემ 4:0 მოიგო, რითიც პირდაპირი განაცხადი გააკეთეს საკუთარ ამბიციებზე. ორივე გუნდმა გააზრებული და საინტერესო ფეხბურთი აჩვენა. ახლა ვნახოთ რამდენად შეძლებენ იგივეს ერთმანეთში.

5 მარტი

სიონი-თელავი

14:00. ბოლნისი. თამაზ სტეფანია

პირველ ტურში თელავმა სტუმრად ლოკომოტივთან მოიგო, ხოლო სიონი ბათუმში დამარცხდა. მიუხედავად ამ განსხვავებული შედეგებისა, ვერ ვიტყვით, რომ ფავორიტი კახური იქნება. ბოლნისელებს ამოცანად ლიგაში დარჩენა აქვთ გადაწყვეტილი და თელავიც უშუალო კონკურენტი იქნება.

სამგურალი-ლოკომოტივი

15:00. ზესტაფონი. დავით აბაშიძე

ზესტაფონში 2 დამარცხებული გუნდი შეხვდება ერთმანეთს და პირველი ქულების მოპოვებას ეცდებიან. შარშან ორივე გუნდი ცხრილის შუაში მყარად იყო გამაგრებული, ლოკომოტივი უფრო ამბიციურიც ჩანდა. თუმცა, წელს მათ სხვა ამოცანები ექნებათ გადასაჭრელი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა

რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იგი ამ თანამდებობას 4 წლის ვადით დაიკავებს. შესაბამისი ბრძანება უკვე გამოცემულია.

ნიკოლოზ ჰაინე-შველიძეს პროფესიული განათლება საქართველოსა და გერმანიაში აქვს მიღებული. იგი 25 წელზე მეტია, ემსახურება ქართულ თეატრს, როგორც რეჟისორი და სპექტაკლების მხატვრული გამფორმებელი. ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენის ერთ-ერთი დამფუძნებელიც არის და არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული ამ სცენაზე.

ხელოვანი მრავალი მასობრივი ხასიათის ღონისძიების რეჟისორია: სახალხო ზეიმი „თბილისობა 2013“, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის დახურვის ღონისძიება, 2018 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია...

გორის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსი 2-ჯერ იყო გამოცხადებული. პირველი კონკურსი ჩაიშალა, მეორე კონკურსის შედეგებით კი გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ნიკოლოზ ჰაინე-შველიძემ დაიკავა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ფიფა რუსეთიდან ფეხბურთელებს უშვებს

ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება, არ ჩაანაცვლოს რუსეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლონეთის ეროვნული გუნდი ავტომატურად გავიდა ფინალში, სადაც მუნდიალის ერთი საგზურისთვის შვედეთსა და ჩეხეთს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ეს გადაწყვეტილება ჯერჯერობით ოფიციალური არ არის, ფიფა მას 4 მარტს დაამტკიცებს. სხვათა შორის, განიხილებოდა როგორც რუსეთის ნაკრების სლოვაკეთით (შესარჩევი ჯგუფის მესამეადგილოსანი) ჩანაცვლების, ასევე, პოლონეთს, შვედეთსა და ჩეხეთს შორის სამთა ტურნირის მოწყობის საკითხიც, რაზეც საბოლოოდ უარი თქვეს გადატვირთული კალენდრის (საჭირო გახდებოდა ერთი სათამაშო დღის დამატება) გამო.

გავრცელებული ცნობებით, ფიფა ყველა იმ ლეგიონერს, რომელიც რუსულ კლუბებში თამაშობენ, 10 დღეში წასვლის უფლებას მისცემს. ცხადია, კონტრაქტების გაწყვეტა ყოველგვარი საჯარიმო სანქციების გარეშე მოხდება.

ამ ნაბიჯისკენ რამდენიმე დღის წინ ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციამ მოუწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა სატრანსფერო ფანჯარა დახურულია და 1 ივნისამდე არ გაიხსნება, ფიფა რუსეთიდან წამოსული ლეგიონერებისთვის გამონაკლისს გააკეთებს და სასურველ კლუბებში მოწყობის უფლებას მისცემს.

ამ დროისთვის რუსეთის პრემიერლიგაში 133 ლეგიონერი თამაშობს. მათ შორის არიან ქართველებიც: ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი), გია გრიგალავა (ხიმკი), ჯიმი ტაბიძე (უფა), ლუკა გაგნიძე, ლუკა წულუკიძე (ორივე ურალი).

ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებენ ქართველები.

ფიბა ევროპამაც დასაჯა

ფიბა-ს მიერ მიღებული პირველადი გადაწყვეტილებების შემდეგ ფიბა ევროპის აღმასრულებელი კომიტეტიც შეიკრიბა, რათა, უკრაინაში ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, აუცილებელი გადაწყვეტილებები მიეღო.

კომიტეტმა გადაწყვეტილებები შეჯიბრებების მთლიანობისა და ყველა მონაწილის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე უკრაინელი კალათბურთელების, გუნდების, კლუბებისა და ოფიციალური პირების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მიიღო, რომლებიც ფიბა ევროპის ღონისძიებებში მონაწილეობას ამჟამად ვერ იღებენ.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესრულდება ფიბა ევროპის შეჯიბრებებზე დაუყოვნებლივ და შემდეგნაირად:

არ დაუშვას რუსული გუნდების მონაწილეობა ევროპის საკლუბო შეჯიბრებებში სათანადო გადაწყვეტილებამდე;

არ დაუშვას რუსი ოფიციალური პირების მონაწილეობა, მათ შორის დელეგატები, ზედამხედველები, მსაჯები და ა.შ. ფიბა ევროპის შეჯიბრებებში სათანადო გადაწყვეტილებამდე;

საკლუბო შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს უკრაინის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ევროპის კონტინენტზე;

შეაჩეროს რუსეთის კანდიდატურა ფიბა-ს ევრობასკეტ 2025-ზე, ხოლო სატენდერო პროცედურა გაგრძელდება, როგორც დაგეგმილი იყო;

გადაწყვეტილებების შესაბამისად, ფიბა ევროპის საკლუბო შეჯიბრებების 2021-22 წლების სეზონი რუსული გუნდების გარეშე გაგრძელდება, რაც გავლენას მოახდენს ქალთა ევროლიგაზე, ქალთა ევროთასზე და ფიბა ევროპის თასზე.

ქალთა ევროლიგიდან ეკატერინბურგის, დინამო კურსკისა და მბა მოსკოვის გარიცხვის შემდეგ მეოთხედფინალური წყვილები და ქალთა ევროთასისთვის კვალიფიცირებული გუნდების სია რეიტინგის მიხედვით გადაიხედება.

ფიბა ევროპა სიტუაციის მონიტორინგს ფიბასთან ერთად ყურადღებით აგრძელებს. ორგანიზაციას შეუძლია, თავისი გადაწყვეტილებები და სანქციები მომავალში განვითარებულ მოვლენებს მოარგოს.

ფიბა ევროპა სინანულს გამოთქვამს არსებული ვითარებით დაზარალებულ ადამიანებზე, კლუბებსა და ეროვნულ გუნდებზე და იმედოვნებს, რომ ევროპული საკალათბურთო ოჯახის ყველა წევრს ძალიან მალე კვლავ მშვიდობიანი ურთიერთობა ექნებათ.

ფიბა ევროპა ასევე სრულ სოლიდარობას უცხადებს უკრაინის ხალხსა და უკრაინის კალათბურთის ფედერაციას.

მანჩესტერს აიაქსის მწვრთნელი უნდა, რონალდუს — ტაქტიკის შეცვლა

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი გოლეადორი კრისტიანუ რონალდუ კლუბის ტაქტიკურ ანალიზსა და ფორმაციულ სტრუქტურაში აქტიურად არის ჩართული.

გუნდის ერთ-ერთი შეკრების დროს რონიმ მთავარ მწვრთნელ რალფ რანგნიკთან თამაშის ორგანიზების მისეული ხედვა გააჟღერა.

ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებული ცნობით, რონალდუმ რანგნიკს სთხოვა, რომ გუნდი დაუბრუნდეს 2-თავდამსხმელიან ტაქტიკას. პოგბას დაბრუნების შემდეგ გუნდის ფორმაცია 4-3-3 სისტემად გადაკეთდა.

რონალდუ სამწვრთნელო შტაბის ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და მთავარ მწვრთნელს ცვლილებების შეტანას სთხოვს, რათა გუნდი დაუბრუნდეს იმ სქემას, რომელიც პორტუგალიელს უფრო პროდუქტიული ეჩვენება.

ამასობაში, რონალდუს ზაფხულში „ნისლიანი ალბიონის“ დატოვებას უწინასწარმეტყველებენ და მის სამშობლოში დაბრუნებას ვარაუდობენ.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ 37 წლის პორტუგალიელი ფეხბურთელის გადაბირების მთავარი პრეტენდენტი ლისაბონის სპორტინგია, სადაც თავდამსხმელმა პროფესიული კარიერა დაიწყო.

მათ რონალდუს პსჟ-ში, რეალსა და მანჩესტერ სიტიში შესაძლო ტრანსფერის ნაკლებად სჯერათ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში კრისტიანუ რონალდუმ ინგლისის ჩემპიონატში 23 შეხვედრა ჩაატარა, რომელშიც 9 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა.

რონალდუს ყოფილმა თანაგუნდელმა, ლეგენდარულმა რიო ფერდინანდმა კი იუნაიტედს ჯონ მაკგინისა (ასტონ ვილა) და დეკლან რაისის (ვესტ ჰემი) სატრანსფერო სიებში ჩასმა ურჩია.

ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ის არის, რომ მანჩესტერს უკავშირებენ აიაქსის მთავარ მწვრთნელ ერიკ ტენ ჰაგს.

როგორც ამბობენ, 52 წლის სპეციალისტმა ამსტერდამული გრანდის ხელმძღვანელობა უკვე გააფრთხილა, რომ მაისის ბოლოს გუნდს დატოვებს.

შედეგები

2 მარტი
ფეხბურთი

ინგლისის. თასი

ლუთონი-ჩელსი	2:3
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი	3:1
ლივერპული-ნორვიჩი	2:1

გერმანია. თასი

ჰამბურგი-კარლსრუე	2:2 (3:2პ)
ჰანოვერი-ლაიფციგი	0:4
ბოხუმი-ფრაიბურგი	1:2 (დდ)

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

მალიორკა-სოსიედადი	0:2

საატუჩნიო ცხრილი:

1.რეალი	26	18	6	2	52-20	60
2.სევილია	26	15	9	2	39-18	54
3.ბეტისი	26	14	4	8	48-32	46
4.ატლეტიკო	26	13	6	7	47-34	45
5.ბარსელონა	25	12	9	4	46-28	45
6.სოსიედადი	26	12	8	6	27-25	44
7.ვილიარეალი	26	11	9	6	47-25	42
8.ბილბაო	26	9	10	7	29-25	37
9.ვალენსია	26	8	9	9	38-42	33
10.სელტა	26	8	8	10	29-28	32
11.ოსასუნა	26	8	8	10	25-34	32
12.რაიო	25	9	4	12	28-30	31
13.ესპანიოლი	26	7	8	11	31-40	29
14.ელჩე	26	7	8	11	28-37	29
15.ხეტაფე	26	6	9	11	26-30	27
16.მალიორკა	26	6	9	11	23-41	26
17.გრანადა	26	5	10	11	27-40	25
18.კადისი	26	3	12	11	21-39	21
19.ალავესი	26	5	6	15	21-44	21
20.ლევანტე	26	3	9	14	28-51	18

ესპანეთი. სამეფო თასი

ვალენსია-ბილბაო	1:0

იტალია. თასი

ფიორენტინა-იუვენტუსი	0:1

იტალია. სერია ბ

ლეჩე-ასკოლი	3:1
მონცა-პარმა	1:1
პიზა-კროტონე	3:2
რევჯინა-ვიჩენცა	3:1
სპალი-ჩიტადელა	0:0
ფროზინონე-კოზენცა	1:0

საფრანგეთი. თასი

ნანტი-მონაკო	2:2 (4:2პ)

ბელგია. ა დივიზიონი

სტანდარდი-ბეერსხოტი	1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ზალცბურგი	0:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-დ.იუნაიტედი	2:1
მოზერველი-როსი	0:1
სელტიკი-სტ.მირენი	2:0
სტ.ჯონსონი-რეინჯერსი	0:1
დანდი-ჰიბერნიანი	0:0
ჰართსი-აბერდინი	2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მდინარე კიევში; 2. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 3. გემის წყალქვეშა ნაწილის სარემონტო ნაგებობა; 5. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 6. იტალიური სამოდელო ფირმა; 7. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 11. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 13. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 14. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 15. ზღვის ფირუზისფერი ბალახი; 16. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 19. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 20. იტალიელი კომიკოსი.

თარაზულად: 1. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 4. კინოკომედია ჩელენტანოს მონაწილეობით; 8. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 9. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. დიდი მახრჩობელა გველი; 12. დედათა მონასტრის წინამძღვარი კათოლიკურ ეკლესიაში; 14. არყის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. უკრაინის პრეზიდენტი; 16. აეროპორტი სინგაპურში; 18. ფრანგი შანსონიე ქალი; 21. უბანი თბილისში; 22. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 23. უნივერსიტეტი პარიზში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუპორტი; 2. ვირსალაძე; 3. კოლორადო; 4. ბრონქსი; 5. კაპელა; 9. მაგატე; 11. სანდალი; 12. ბისონი; 14. გამბიტი; 18. იდიში; 19. სიმდი.

თარაზულად: 4. ბეშუმი; 5. კიმიგაიო; 6. ფოლგა; 7. გომბორი; 8. ესკიმო; 10. კოქსი; 13. ტიგელი; 15. ლეგლი; 16. ლუდი; 17. ხიდი; 20. ბურიმე; 21. დინარი; 22. ბუშლატი; 23. დაბაღი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფაუსტი; 2. ოლიფა; 3. ლოტი; 5. პილონი; 6. შრატი; 7. სიმონია; 11. ტანინი; 13. გეიზერი; 14. გიუმი; 15. მონარქი; 16. ოკლენდი; 17. მაჭარი; 19. ალაფი; 20. ქისი.

თარაზულად: 1. ფეოდალი; 4. სტეპი; 8. ტაიჭი; 9. ლემა; 10. სოფიტი; 12. ლონდონი; 14. გოია; 15. მამისონი;

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2419

ევრო — 3.5975

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3182

100 რუსული რუბლი — 2.9189

ამინდის პროგნოზი 4 მარტისათვის

ჯონ ტერიმ რომან აბრამოვიჩს მადლობა გადაუხადა

ჩელსის ლეგენდა ჯონ ტერი რომან აბრამოვიჩის ჩელსიდან წასვლას გამოეხმაურა და თქვა, რომ აბრამოვიჩმა ჩელსისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და ყოველთვის მისი მადლიერი იქნება.

ტერიმ აბრამოვიჩს მომავალში წარმატება უსურვა:

– მადლობა ყველაფრისთვის, რომან. შენ ჩელსისთვის უამრავი წარმატება გაქვს მოტანილი და შენთვის მხოლოდ კეთილი სიტყვები მემეტება. იმედი მაქვს, საქმიანობას წარმატებით გააგრძელებ.

გიორგი მამარდაშვილს ესპანური მედია აქებს

ვალენსიის ქართველმა მეკარე გიორგი მამარდაშვილმა ბილბაოს ატლეტიკთან კარგი თამაში ჩაატარა და მას ესპანურ მედიაში აქებენ.

რამდენიმე გავლენიანმა გამოცემამ ისიც დაწერა, რომ თუ მამარდაშვილმა ასე გააგრძელა, მაშინ, შესაძლოა, იასპერ სილესენს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება გაუჭირდეს. ვალენსია ატლეტიკთან გამარჯვების შემდეგ ესპანეთის თასის ფინალში გავიდა.

აზარი რეალის დატოვებას არ აპირებს

მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი გუნდის დატოვებას არ აპირებს, როგორც ამის შესახებ ადრე იწერებოდა, თუმცა, შესაძლოა, მან გადაიფიქროს იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვერ გახდება.

აზარმა რამდენიმეჯერ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია, შეძლოს თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოყენება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

სახლში გვიან დაბრუნებულ ქმარს ცოლი დაეტაკა და ეკითხება:

– სად დაეთრეოდი?

– გიგისთან ვიყავი, „კარტს“ ვთამაშობდით.

– ცრუობ! – უყვირა ცოლმა, ტელეფონი აიღო, გიგის დაურეკა და ეკითხება:

– გიგი, ჩემი ქმარი შენთან იყო?

– რა თქმა უნდა, ის ახლაც ჩემთანაა...

•••

ექიმი მოხუცებულ ქალს ეუბნება:

– ბებო, მე თქვენ გამოკვლევა ჩაგიტარეთ და ჯანმრთელი ხართ. კიდევ ერთხელ განმიმარტეთ, რა გაწუხებთ?

– სული მეხუთება, სუნთქვა მეკვრის.

– როდის?

– როდესაც ავტობუსს ვერ ვეწევი.

•••

ცოლი და ქმარი დასასვენებლად წასასვლელად ემზადებიან. ცოლი ეუბნება:

– ბავშვებს დედაჩემთან გავგზავნი, ძაღლს და თუთიყუშს დეიდა ლამარას ჩავაბარებ, კატას მეზობელს დავუტოვებ.

ქმარი მცირე ფიქრის შემდეგ ეუბნება:

– თუ ჩვენ ბინაში ასეთი სიწყნარე იქნება, მაშინ დასასვენებლად სხვაგან წასვლა რაღა საჭიროა?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ გყავთ ბავშვები, როგორ ხართ?

– ძალიან რთულად, თავისუფალ დროს ფაქტიურად ვერ ვნახულობთ, ნორმალურად ძილსაც კი ვერ ვახერხებთ.

– და ღელა როგორაა?

– ღელა მე ვარ. გივი კიდევ უფრო უარესად გამოიყურება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნონა გიუნაშვილმა უკრაინისთვის ულამაზესი ნამუშევრები შექმნა

პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებულმა, ქვიშაზე მხატვარმა ნონა გიუნაშვილმა, უკრაინასა და უკრაინელ ხალხს ულამაზესი ვიდეორგოლი მიუძღვნა.

ხელოვანმა უკრაინაში განვითარებული მოვლენები რამდენიმეწუთიან კლიპში ქვიშით შესრულებული ულამაზესი ნამუშევრებით გააერთიანა და ომის სასტიკი ისტორია გადმოსცა.

ნონამ თავისი ახალი ნამუშევარი სოციალურ ქსელში გააზიარა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მოწონება და ბევრი დადებითი კომენტარიც დაიმსახურა.

ქართველმა მომღერლებმა უკრაინის დასახმარებლად საქველმოქმედო მარათონი გამართეს

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაზარალებული ხალხისთვის ქართველმა მომღერლებმა საქველმოქმედო მარათონი გამართეს.

მარათონს პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემდა და მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ნოდიკო ტატიშვილმა, სოფო გელოვანმა, ლიზა ბაგრატიონმა, მაია ბარათაშვილმა, ნატალია ქუთათელაძემ, დათო ევგენიძემ, „შავნაბადამ“, „შვიდკაცამ“, ოთო ნემსაძემ, ნუკრი კაპანაძემ, „ალილომ“, ნოდარიკო ხუციშვილმა, ეკა მამალაძემ, ნიკა ნიკვაშვილმა, ზაზა მარჯანიშვილმა, ნათია თოდუამ.

მარათონი საქართველოს პირველმა არხმა მოაწყო და ის უკრაინელი ხალხისა და უკრაინის საზოგადოებრივი მაუწყებლის სოლიდარობის ნიშნად გაიმართა. საქველმოქმედო მარათონის მსვლელობისას სხვადასხვა კომპანიებმა თუ რიგითმა ადამიანებმა უკრაინის დასახმარებლად თანხები გაიღეს და უკრაინელი ხალხის დასახმარებლად გადარიცხეს.

გივი ბერიკაშვილის მეუღლე, ღეილა კაპანაძე, გარდაიცვალა

გივი ბერიკაშვილის მეუღლე, მეტყველებისა და საორატორო ხელოვნების პედაგოგი ღეილა კაპანაძე, გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მთელმა ქართულმა თეატრმა დაკარგა შესანიშნავი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, სასცენო მეტყველებისა და საორატორო ხელოვნების ნამდვილი მეტრი, პროფესორი ღეილა კაპანაძე.

ამავე უნივერსიტეტის დასრულებისთანავე ქალბატონი ღეილა დარჩა სასცენო მეტყველების კათედრაზე და თითქმის 70 წლის განმავლობაში იყო ამ დარგის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი. მისი ღვაწლი ამ უნივერსიტეტის წინაშე ფასდაუდებელია. ქალბატონი ღეილას სახელი, მალიკო მრევლიშვილისა და ბაბულია ნიკოლაიშვილის გვერდით, ღირსეულ ადგილს დაიკავებს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში.

ჩემთვის უძვირფასესი ქალბატონი ღეილაც წავიდა, ჩემი პედაგოგი, ჩემი მეგობრების მშობელი, ჩემი უდიდესი გულშემატკივარი ჭირსა თუ ლხინში. წავიდა თავის გივიკოსთან. როგორ მენანები და როგორ მომენატრები, ჩემო ძვირფასო დიდო ქალბატონო!

ნანუკა გულუა დედა გახდება

მსახიობი ნანუკა გულუა სულ მალე დედა გახდება. ეს სასიხარულო ინფორმაცია „ჩემი ცოლის დაქალების“ ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მსახიობმა სოციალურ ქსელში 3 მარტს, დედის დღეს, თავად გაავრცელა:

– ერთადერთი ბედნიერება, რომელიც დამრჩა გამოსაცდელი, დედობაა. მადლობა ღმერთს, მალე არამიწიერ ბედნიერებას მაზიარებს...

გილოცავთ, დედიკოებო! მშვიდობას გისურვებთ მთელ სამყაროში, მშვიდობას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბექა გოჩიაშვილმა და თემურიკო დიასამიძემ უკრაინას მუსიკალური კომპოზიცია მიუძღვნეს

ცნობილმა ქართველმა ჯაზმუსიკოსმა ბექა გოჩიაშვილმა და ნიაზ დიასამიძის შვილმა, მუსიკოსმა თემურიკო დიასამიძემ, უკრაინელების მხარდასაჭერად ულამაზესი მუსიკალური კომპოზიცია შექმნეს:

– ყველა გმირულად დაცემული ჯარისკაცის ხსოვნას ეს ჩვენი ახალი მუსიკა ჩემგან და თემურიკო დიასამიძისგან, – განაცხადა ბექა გოჩიაშვილმა და ერთობლივი ნამუშევარი ინტერნეტით ათასობით გულშემატკივარს წარუდგინა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 მარტისათვის

ვერძი – შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, რაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია იქნება. **კურო** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. შემოქმედებითი პოტენციალი დღეს მძლავრობს. **ტყუპები** – დაძაბული ეტაპი გაქვთ. თუ მის გადალახვას მოახერხებთ, მიზნის მიღწევაში ხელს ვეღარაფერი შეგიშლით. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში. **ქალწული** – ეს დღე პირადი ცხოვრების მოწესრიგებით დაიწყეთ. ოდნავ დაძაბული ხართ. **სასწორი** – სარისკო პროექტებში ნუ ჩაერთვებით. ასევე, არ ღირს საყიდლებზე წასვლა. **ღრიანკალი** – ემოციები აკონტროლეთ. რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვა. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ. ჩანაფიქრის რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – დღეს მხოლოდ პირად ცხოვრებას მიხედეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – ძალიან დატვირთული ხართ, მაგრამ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ და გართობისთვისაც მოიცლით. **თევზები** – დიდია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა. კამათში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნეების ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რაიმე მოვლენის, დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. ფსიქიატრიული დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც პაციენტი დუმს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. დაკოდილი მამალი ცხვარი; 9. მძლავრი ბუნებრივი მოვლენა; 11. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 12. ესპანური ღვინო; 14. კარსტული მღვიმე იმერეთში; 18. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია აშშ-ის სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა.

თარაზულად: 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. ხელოვნების ქურუმის ტიტულის მქონე ქართველი ქორეოგრაფი; 6. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 7. მარმარილოს საბადო იმერეთში; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 10. საპატარძლოს მეჯვარე ქორწილში; 13. სახელმწიფო ჰიმალაებში; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. ჭამის სურვილი; 17. ტბა გაგრის რაიონში; 20. სვანური სახლის ქვედა სართული; 21. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 22. კუთხე საქართველოში; 23. ანგორული თხის მატყლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა